



ქ. თბილისი

2024 წლის 30 აგვისტო

შპს ოლდ ლამი

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა



შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა -----	3
ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე -----	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე -----	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება -----	6
მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება -----	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება -----	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება -----	9
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები -----	10

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ოლდ ლამი“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ოლდ ლამი“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“-ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „ოლდ ლამი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (მსს ფასს).

პირობითი მოსაზრების საფუძველი

კომპანიის მარაგი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია 2023 წლის 31 დეკემბრის, მდგომარეობით. ხელმძღვანელობამ მარაგი აღრიცხა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. აუდიტის ჩატარების პროცესში ვერ მოხდა საკმარისი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვება სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთის დადასტურების მიზნით.

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასსების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად „სადაც და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიში მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მიხედვით მმართველობით ანგარიშზე.

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია „მმართველობითი ანგარიშგება“-ის წარდგენაზე. „მმართველობითი ანგარიშგება“ მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის შესახებ, რისკების ანალიზის, სამომავლო გეგმების და სხვა ინფორმაციას, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ „მმართველობით ანგარიშგება“-ს და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობითი ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან

აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია და წარვადგინოთ შესაბამისი ანგარიში.

დამატებით, ჩვენი ვალდებულებაა გამოვთქვათ მოსაზრება მომზადებულია თუ არა მმართველობის ანგარიშგება “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და უდიტის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად და მოიცავს თუ არა ის ყველა მოთხოვნილ ინფორმაციას. თუ ჩატარებული პროცედურების საფუძველზე დავასკვნით, რომ „მმართველობის ანგარიშგება“ მოიცავს არსებით უზუსტობებს, ჩვენ ვალდებულები ვართ განვაცხადოთ ამ ფაქტზე და უზუსტობის არსზე. ჩვენ არ გავაჩნია საფუძველი გავაკეთოთ მოხსენება ამ საკითხთან დაკავშირებით. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაოების მიხედვით, ყველა მატერიალური ასპექტის გათვალისწინებით, ვაცხადებთ:

- მმართველობით ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას; და
- ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით და შეიცავს კანონით მოითხოვნილ სრულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ

გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი
- დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე

(რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-518452)

შპს ბესტ აუდიტის სახელით


30 აგვისტო 2024 წ.

თბილისი, საქართველო

გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოეთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი
- დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას. მმართველობითი უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებთან აუდიტის პროცესში გვექონდა კომუნიკაცია აუდიტის მასშტაბის, აუდიტის გეგმის და აუდიტის სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის შიდა კონტროლის სისტემაში აუდიტის პროცესში გამოვლენილ მნიშვნელოვან სისუსტეებზე. დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემულ აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ბელა ვარდიძე



(რეესტრში რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-518452)

შპს ბესტ აუდიტის სახელით

30 აგვისტო 2024 წ.

თბილისი, საქართველო

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31.12.2023წ. მდგომარეობით

ბალანსის უწყისი	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	3772577	1641429	1,249,270
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	657803	563699	707,059
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	9053211	11,655,938	6,185,383
წინასწარ გადახდილი		310324	293,005	291,505
საგადასახადო ზედმეტობა				40,288
ჯამურად მიმდინარე აქტივები		13793915	14164071	8,473,505
ფიქსირებული აქტივები	6	18850077	18,445,328	11,525,269
არამატერიალური აქტივები	7	15567	1,365	1,606
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		18865644	18,446,693	11,526,876
სულ აქტივები		32659559	32610764	20,000,380
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდებიდან	8	2104736	3,576,988	390,625
3120ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან		85985	85,985	60,000
გადასახდელი გადასახადები		123717	48675	
მოკლევადიანი სესხი		674745	990,500	358,660
ჯამურად მოკლევადიანი ვალდებულებები		2989182	4702148	809,284
გრძელვადიანი სესხები		2909841	3,171,551	1,954,750
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		2909841	3,171,551	1,954,750
სულ ვალდებულებები		5899024	7873699	2,764,034
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		210200	455200	60,200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		26550336	24281865	17,176,147
სულ კაპიტალი		26760536	24737065	17,236,347
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32659559	32610764	20,000,380

გენერალური დირექტორები
ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარეული

26 აგვისტო 2024 წელი
საქართველო, თბილისი,

მთავარი ბუღალტერი
ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი,

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31.12.2023 წ. მდგომარეობით

ბალანსის უწყისი	შენიშვნა	31.12.2023 წ.	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ფული და ფულადი ექვივალენტები	3	3,772,577	1,641,429	1,249,270
მოკლევადიანი მოთხოვნები	4	657,803	563,699	707,059
სასაქონლო მატერიალური მარაგები	5	9,053,211	11,665,938	6,185,383
წინასწარ გადახდილი		310,324	293,005	291,505
საგადასახადო ზედმეტობა				40,288
ჯამურად მიმდინარე აქტივები		13,793,915	14,164,071	8,473,505
ფიქსირებული აქტივები	6	18,850,077	18,445,328	11,525,269
არამატერიალური აქტივები	7	15,567	1,365	1,606
ჯამურად გრძელვადიანი აქტივები		18,865,644	18,446,693	11,526,876
სულ აქტივები		32,659,559	32,610,764	20,000,380
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება მიწოდ	8	2,104,736	3,576,988	390,625
3120ვალდებულებები მოკლე პოზიციიდან		85,985	85,985	60,000
გადასახდელი გადასახადები		123,717	48,675	
მოკლევადიანი სესხი		674,745	990,500	358,660
ურად მოკლევადიანი ვალდებულებები		2,989,182	4,702,148	809,284
გრძელვადიანი სესხები		2,909,841	3,171,551	1,954,750
ჯამურად გრძელვადიანი ვალდებულებები		2,909,841	3,171,551	1,954,750
სულ ვალდებულებები		5,899,024	7,873,699	2,764,034
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		210,200	455,200.00	60,200
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		26,550,336	24,281,865	17,176,147
სულ კაპიტალი		26,760,536	24,737,065	17,236,347
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		32,659,559	32,610,764	20,000,380

გენერალური დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

ნათია გოგაძე
ზაზა ჩქარული
26 აგვისტო 2024 წ.

ლევან ოტიაშვილი
26 აგვისტო 2024 წ.




შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

სრული შემოსავლების ანგარიში 31.12.2023წ. მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022
ამონაგები		39397025	47868276
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(33013273)	(39071467)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან		6383752	8796809
სხვა საოპერაციო შემოსავლები			-
სულ საოპერაციო შემოსავლები:		638752	8796809
ხელფასი		(2193533)	(1,682,868)
ამორტიზაცია		(409693)	(338,117)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1199076)	(1043523)
სულ საოპერაციო ხარჯები:	9	(3802302)	(3064509)
საპროცენტო შემოსავლები		124270	77,953
დადებითი საკურსო სხვაობები		24423	1,074,836
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		51578	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		456252	669,981
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	10	656523	1,822,770
უარყოფითი საკურსო სხვაობები		(739006)	(9,146)
საპროცენტო		(232848)	(440,198)
სხვა		(76)	(9)
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	11	(971929)	(449353)
მოგება დაბეგვრამდე:		2266044	7105718
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი		2266044	7105718
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:		2266044	7105718

გენერალური დირექტორები

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარეული

26 აგვისტო 2024 წელი
საქართველო, თბილისი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

სრული შემოსავლების ანგარიში

შენიშვნა	31/12/2023	31.12.2022
ამონაგები	39,397,025	47,868,276
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	(33,013,273)	(39,071,467)
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	6,383,752	8,796,809
სხვა საოპერაციო შემოსავლები		
სულ საოპერაციო შემოსავლები:	6,383,752	8,796,809
ხელფასი	(2,193,533)	(1,682,868)
ამორტიზაცია	(409,693)	(338,117)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,199,076)	(1,043,523)
სულ საოპერაციო ხარჯები: 9	(3,802,302)	(3,064,509)
საპროცენტო შემოსავლები	124,270	77,953
დადებითი საკურსო სხვაობები	24,423	1,074,836
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	51,578	-
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	456,252	669,981
სულ არასაოპერაციო შემოსავლები 10	656,523	1,822,770
უარყოფითი საკურსო სხვაობები	(739,006)	(9,146)
საპროცენტო	(232,848)	(440,198)
კონვერტაცია	(76)	(9)
სულ არასაოპერაციო ხარჯები: 11	(971,929)	(449,353)
მოგება დაბეგვრამდე:	2,266,044	7,105,718
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	2,266,044	7,105,718
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი	2,266,044	7,105,718

გენერალური დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარეული

26 აგვისტო 2024 წ.

ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წ.

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2023წ. მდგომარეობით

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	31.12.2023	31.12.2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	68065764	56649926
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(37766497)	(56048677)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1817743)	(1354253)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(21297377)	(107333)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(3413870)	(1560799)
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(7972)	(5181)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3762305	(2426318)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
დამფუძნებლის შენატანი/გატანა	(245000)	395000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(245000)	395000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება		5544320
სესხების დაფარვა	(674745)	(2768793)
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა		
გადახდილი პროცენტები	(232848)	(440198)
გადახდილი დივიდენდები		
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)	124802	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(782790)	2335329
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეტო)	(603367)	88147
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2131148	392159
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	1641429	1249270
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3772577	1641429

გენერალური დირექტორები

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარული

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

	31/12/2023	31/12/2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი:	68065764	56649926
სხვა შემოსულობიდან საოპერაციო საქმიანობიდან	0	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(37766497)	(56048677)
გაცემული შრომის ანაზღაურება	(1817743)	(1354253)
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(21297377)	(107333)
გადასდილი გადასახადების (სოციალური გადასახადის	(3413870)	(1560799)
ნარჩუნებული საფასურებისა და კაპიტალური ხარჯების	(7972)	(5181)
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	3762305	(2426318)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
დამფუძნებლის შენატანი	(245000)	395000
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(245000)	395000
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება		5544320
სესხების დაფარვა	(674745)	(2768793)
გადახდილი პროცენტები	(232848)	(440198)
გადახდილი დივიდენდები		
სხვა ფინანსური	124802	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(782790)	2335329
ვალუტის კურსის ცვლილ. გამოწ. ზრდა / კლება (ნეგატიური -)	(603367)	88148
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	2131148	392159
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის	1641429	1249270
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის	3772577	1641429

გენერალური დირექტორები

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარეული

26 აგვისტო 2024 წ.

მთავარი ბუღალტერი

ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წ.

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 31.12.2023წ. მდგომარეობით

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908784	სააქცი ო / საწესდ ებო კაპიტა	საემისი ო/ დამატებ ითი კაპიტალ	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	გადა ფა- სები ს რეზე	სხვა სრული შემოსავალ ი	კაპიტა ლი არამაკ ონტ. წილის	არამაკ ონ- ტროლ ებელი წილი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022-თვის	0	0	17176149	0	60200	0	0	17236347
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			7105718					7105718
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი								0
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					395000			395000
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან								
ნაშთი 01.01.2023-თვის	0	0	24281865	0	455200	0	0	24737065
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			2266044					2266044
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი								0
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					(245000)			(245000)
სხვა ცვლილებები			2427					2427
ნაშთი 01.01.2024-თვის	0	0	26550336	0	210200	0	0	26760536

გენერალური დირექტორები

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარეული

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი

მთავარი ბუღალტერი

ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წელი

საქართველო, თბილისი

შპს "ოლდ ლამი" ს/კ 404908	სააქცი ო / საწესდ ებო	საემისი ო / დამატე ბითი	გაუნაწილ . მოგება / დაუფარავ	გადაფ ა- სების რეზერ	სხვა სრული შემოსავალ ი	კაპიტ ალი არამაკ ონტ.	არამაკ ტროლ ებელი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 01.01.2022-თვის	0	0	17176149	0	60200	0	0	17236347
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			7105718					7105718
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი								0
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					395000			395000
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრეებისგან								
ნაშთი 01.01.2023-თვის	0	0	24281865	0	455200	0	0	24737065
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები								
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი			2266044					2266044
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი								0
მესაკუთრეების შენატანები კაპიტალში					(245000)			(245000)
სხვა ცვლილებები			2427					2427
ნაშთი 01.01.2024-თვის	0	0	26550336	0	210200	0	0	26760536

გენერალური დირექტორები

მთავარი ბუღალტერი

ნათია გოგაძე

ზაზა ჩქარული

26 აგვისტო 2024 წ.



ლევან ოტიაშვილი

26 აგვისტო 2024 წ.



ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ოლდ ლამი“-ს (შემდგომში კომპანია) დაარსებულია 2011 წლის 31 აგვისტოს, საიდენტიფიკაციო კოდი 404908784, მარეგისტრირებული ორგანო-სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. იურიდიული მისამართი-საქართველო, ქ.თბილისი, ნაძალადევის რაიონი. ერისთავის ქ.1. მესაკუთრე: ნათია გოგაძე(პ/ნ 17001000828)-100%. გენერალური დირექტორები: ნათია გოგაძე(პ/ნ 17001000828) და ზაზა ჩქარეული (44001003749).

შპს ოლდ ლამი ახორციელებს ხე-ტყის მასალის, შპონის ფურცლების, ხის პანელების, მერქნის და სამშენებლო მასალებით ვაჭრობას საცალო და საბითუმო სახით.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

2. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი.

2017 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას კომპანიის მიერ დაკორექტირდა ძირითადი საშუალებების საწყისი ნაშთების საბალანსო ღირებულებები, დაგროვილი ცვეთა.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს იმ ქვეყნის ვალუტას, სადაც ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა) - ქართულ ლარს.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და მფლობელს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა

განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივები გაუფასურებაზე ფასდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ფინანსური აქტივები ითვლება გაუფასურებულად, თუ არსებობს ობიექტური რწმუნება იმისა, რომ ერთი ან მეტი ფაქტორის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა აქტივის წარმოქმნის შემდეგ და მომავალში მისაღებ ფულად სახსრებზე აქვს უარყოფითი გავლენა. აღნიშნული კომპანიას ავალდებულებს შეაფასოს მომავალში მისაღები ფულადი სახსრები. მეორეს მხრივ, აღნიშნული შეფასებები არ არის ბოლომდე სანდო, რადგან მოიცავს მომავალ დაშვებებს. მნიშვნელოვანმა და განუჭვრეტელმა ცვლილებებმა, იმ დაშვებებსა და შეფასებებში, რომლებიც მონაწილეობენ გაუფასურების დაანგარიშებაში, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სხვაობა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ინფორმაციისგან.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განტეხული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადაწილებისთვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახდენს მომავალი ფულადი გადახდების დისკონტირებას ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი პერიოდის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულებას სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მიმდინარე საბანკო და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს.

დებიტორები დავალიანება

დებიტორული დავალიანება ძირითადად შედგება მყიდველებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მიწოდებული საქონლის ღირებულების მოთხოვნებისაგან.

მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის ასახვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან ასახულია მოთხოვნებს გამოკლებული უიმედო ვალები.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება აისახება თვითღირებულებით, რაც წარმოადგენს მიღებული საქონლისა და მომსახურებისთვის მომავალში გადასახდელ საკომპენსაციო თანხას. ვალდებულება აღირიცხება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებულ მონაცემებსა და მიმდინარე დაშვებებზე დაყრდნობით. ვალდებულება არ დისკონტირდება ფულის დროით ღირებულებასთან მიმართებაში. ვალდებულების ჩამოწერა ხდება მისი დაფარვის მოთხოვნის ვადის გასვლის, შეწყვეტის ან გაუქმებისას.

კრედიტორული დავალიანება რომლის დაფარვის ვადა ბალანსის შედგენიდან ერთ წელზე მეტია აისახება როგორც გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

საწარმო სასაქონლო-მატერიალურ მარაგებს ასახავს უწყვეტი აღრიცხვის საშუალებით, ხოლო ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი ღირებულების ანუ საშუალო ფასთა მეთოდით, რაც მდგომარეობს იმაში, რომ რეალიზებული (ჩამოწერილი) სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების განსაზღვრა ხდება გასაშუალებული ფასების მიხედვით რეალიზაციის ან ჩამოწერის ყოველი კონკრეტული მომენტისათვის.

სასაქონლო მარაგების ღირებულება მოიცავს შეძენის და მათ ადგილზე და პირობებში მიტანისას გაწეულ ხარჯებს.

საანგარიშო წლის ბოლოს ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი დანაკლისი ჩამოწერილია ბალანსიდან ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე. ვადაგასული და გამოსაყენებლად უვარგისი საქონელი ნადგურდება აქტით სპეციალური სამსახურის მიერ. ბასს 2-ის მიხედვით სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით, სადაც ნეტო (წმინდა) სარეალიზაციო ღირებულება არის „ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით“. მათ შორის უმცირესის არჩევა განპირობებულია წინდახედულობის პრინციპით.

ნეტო სარეალიზაციო ღირებულების დადგენა უნდა ხდებოდეს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია ისტორიული ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

შენობა-ნაგებობები	5%
ოფისის აღჭურვილობა	15%
კომპიუტერული ტექნიკა	15%
სატრანსპორტო საშუალებები	20%

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისათვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალებების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

როდესაც ხდება ქონების ჩამოწერა ან სხვა სახით ცვლილება, ღირებულება და ცვეთა გადაიტანება ფინანსური ანგარიშგებიდან და ამასთან დაკავშირებული ყველა სახის მოგება ან ზარალი აისახება შემოსავლების უწყისში.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა ხდება გაყიდვის შემდეგ ან, როდესაც მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენების ან გაყიდვის შედეგად. ძირითადი საშუალებების ჩამოწერისას წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი (გამოთვლილი, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შეტანილია იმ წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც ხდება აქტივის ჩამოწერა.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებას კომპანიის წესდებაში (მათ შორის ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხორციელდება კომპანიის დამფუძნებლების მიერ.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულებები იმ პერიოდისათვის, რომელშიც გამოცხადდა.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება ლარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.

ვალუტის გაცვლითი კურსი

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას:

	31დეკემბერი 2023	31დეკემბერი 2022
ლარი/1აშშდოლარი	2,6894	2,7020
ლარი/1ევრო	2,9753	<u>2,8844</u>

პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ბალანსში, მაგრამ წარმოდგენილია ანგარიშსწორებისას სახსრების ნებისმიერი გადინების შესაძლებლობის არსებობამდე. პირობითი აქტივი ბალანსში არ აისახება, მაგრამ წარმოდგენილია იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკური მოგების მიღება ნავარაუდევია.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელებიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომელებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

გადასახადები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია ახორციელებს ბევრ ოპერაციას და გაანგარიშებას, რომელთათვისაც საბოლოო დაბეგვრის საკითხები განსაზღვრული არაა. შედეგად კომპანია საგადასახადო ვალდებულებებს აღიარებს სავარაუდო შეფასებების საფუძველზე. შესაბამისად, კომპანია თვლის, რომ შეიძლება არსებობდეს გარკვეული პრობლემური არეები დეკლარაციებში, რომელთა ამომწურავად დასაბუთება შესაძლოა ვერ მოხერხდეს საგადასახადო შემოწმებისას. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს ამასთან დაკავშირებული რისკები. სხვადასხვა ფაქტორების, მათ შორის წარსული გამოცდილების ანალიზის და საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების მიხედვით, კომპანია თვლის, რომ მის მიერ გაკეთებული საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვები ადეკვატურია.

საგადასახადო დაბეგვრა

აუდიტირებადი პერიოდისათვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით მოგების გადასახადი 15%-ს შეადგენს, საშემოსავლო-20%, დღგ-18%-ს.

გადასახადების გამოთვლა და გადახდა ხდება შესაბამისი პერიოდებისათვის მიხედვით საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით.

საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდში არ წარმოქმნილა გადავადებული გადასახადი ან საგადასახადო აქტივი.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან

დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავალი მომსახურების გაწევიდან

თუ ოპერაცია მომსახურების გაწევას გულისხმობს და შესაძლებელია მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება, საწარმომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებული ამონაგები უნდა აღიაროს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. მომსახურების გაწევის ოპერაციის შედეგის საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

თუ მომსახურების გაწევა ხდება განუსაზღვრელი რაოდენობის მრავალჯერადი აქტის შედეგად გარკვეული პერიოდის განმავლობაში, საწარმო ამონაგებს აღიარებს თანაბარზომიერად, მომსახურების გაწევის მთელი პერიოდის განმავლობაში, თუ არ არსებობს იმის საფუძველი, რომ რომელიმე სხვა მეთოდის გამოყენებით უფრო ზუსტად შეიძლება მომსახურების შესრულების სტადიის ასახვა. როდესაც რომელიმე აქტი/მოქმედება უფრო მეტად მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ნებისმიერი, ამონაგების აღიარება გადავადდება მნიშვნელოვანი აქტის შესრულებამდე.

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ მთლიანი ეკონომიკური შემოსავლები პერიოდის განმავლობაში წარმოიშობა კომპანიის ჩვეული საქმიანობის პირობებში, მათი საიმედოდ შეფასება შესაძლებელია და ამ ოპერაციის შედეგად იზრდება საკუთარი კაპიტალი, მესაკუთრეთა მხრიდან დამატებითი ინვესტირების გარეშე.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ბალანსში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

შენიშვნა 3 -ფულადი სახსრები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
ლარები საბანკო ანგარიშებზე	3629513	977537	581704
უცხოური ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	107535	637607	506471
ჯამურად ფულადი ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	3737049	11615145	1088175
ნაღდი ფული სალაროში ლარებში	35529	26284	161095
სულ ფულადი სახსრები	3772577	1641429	1249270

შენიშვნა 4 - მოკლევადიანი მოთხოვნები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
გაცემული სესხები		0	0
მოთხოვნები მიწოდებიდან დამოსახურებიდან	650320	563699	707059
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	7483	0	0
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	310324	293005	291505
სხვა მოთხოვნები		0	40288
ჯამურად მოკლევადიანი მოთხოვნები	968127	856704	1038852

შენიშვნა 5 -სასაქონლო მატერიალური მარაგები	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
საქონელი	9038091	11649195	6169298
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგები	15120	16743	16084
ჯამურად	9053211	11665938	6185383

შენიშვნა 6 - ფიქსირებული აქტივები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთი	შენობა-ნაგებობები	დაუმთავრებელი მშენებლობა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 31.12.2022	9 814 213	1 063 242	6 585 518	1 150 589	360 348	1 317 188	28 425	20 319 523
ამორტიზაცია 31.12.2022		-36 121	0	-110 002	-14 703	-165 602	-11 448	-337 876
აკუმულირებული ამორტიზაცია	0	-285 614	0	-837 917	-133 567	-569 334	-47 763	-1 874 195
ნარჩენი ღირებულება 31.12.2022	9 814 213	777 628	6 585 518	312 672	226 781	747 854	-19 338	18 445 328
ნაშთი 01.01.2023	9 814 213	1 063 242	6 585 518	1 150 589	360 348	1 317 188	28 425	20 319 523
შეძენა	0	6 489 251	831 769	62 138	381 189	336 664	0	8 101 011
გასვლა	0	0	-6 839 359	-11 356	0	-702 376	-28 425	-7 581 508
აფასება (გადაფასება)	0	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი 31.12.2023	9 814 213	7 552 493	577 936	1 201 371	741 537	951 476	0	20 839 026
ამორტიზაცია 31.12.2023		-66 362	0	-92 875	-81 866	-168 590		-409 693
აკუმულირებული ამორტიზაცია	0	-351 976	0	-930 792	-234 245	-471 936		-1 988 949
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	9 814 213	7 200 517	577 936	270 579	507 292	479 540	0	18 850 077

შენიშვნა 7 - არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები	საბუღალტრო პროგრამა და სასაწყობო პროგრამა	სულ
ნაშთი 01.01.2023	5 842	5 842
შეძენა	16 949	16 949
გასვლა	0	0
ნაშთი 31.12.2023	22 791	22 791
ამორტიზაცია 2023	2 747	2 747
აკუმულირებული ამორტიზაცია 31.12.2023	7 224	7 224
ნარჩენი ღირებულება 31.12.2023	15 567	15 567

შენიშვნა 8- კრედიტორული დავალიანება	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანება	2104736	3576988	390324.5
გადასახდელი ხელფასები		0	0
ავანსები	85985	85985	60000
მოკლევადიანი სესხები	674745	990500	358660
გადასახდელი გადასახადები	123717	48675	0
სულ კრედიტორული დავალიანება	2989182	4702148	808984

კომპანიას აღებული აქვს სესხი სს „საქართველოს ბანკი“-დან, როგორც დოლარში, საპროცენტო განაკვეთი 7%, ისე ლარში, საპროცენტო განაკვეთი 8,4%. აღნიშნული სესხები უზრუნველყოფილია საზოგადოების ქონებით. სესხების დაფარვა ხორციელდება შეუფერხებლად გრაფიკის მიხედვით.

შენიშვნა 9 - საოპერაციო ხარჯები	31/12/2023	31/12/2022
ხელფასის ხარჯები	2193533	1682868
საპენსიო	40439	30058
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	96891	112487
საოფისე ხარჯები	31404	52240
საგადასახადო ხარჯები	83931	83931
საკანცელარიო საქონელი	8618	9540
ბანკის მომსახურების საკომისიო	8063	42696
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	56033	36145
მივლინების	140266	33288
იჯარის ხარჯი	412774	313327
დაზღვევა	6911	0
მომსახურება	61939	35291
ცვეთა და ამორტიზაცია	409693	338117
სხვა/საოპერაციო და სხვა	251808	294519
სულ საოპერაციო ხარჯები	3802302	3064509

შენიშვნა 10 - არასაოპერაციო შემოსავლები	31/12/2023	31/12/2022
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია	489661	
დადებითი საკურსო შემოსავალი	24452	1074836
საპროცენტო	124270	77953
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები/საჩუქრები და სხვა/	456252	669981
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	1094635	1822770

შენიშვნა 11 - არასაოპერაციო ხარჯი	31/12/2023	31/12/2022
საპროცენტო ხარჯები	232848	440198
საკურსო უარყოფითი	739006	9146
კონვერტაციის ხარჯი	76	9
ძირითადი საშ.ხარჯი	438083	0
სულ არასაოპერაციო ზარალი	1410012	449353

ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ითვლება, რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც ლიკვიდურია და/ან აქვთ მოკლევადიანი გადახდის ვადა, ახლოსაა მათ რეალურ ღირებულებასთან.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება კომპანიის ფინანსური მხარისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიის მიერ გამოყენებული ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, რომელთაგან ფინანსური რისკი წარმოიქმნება შემდეგია:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

საკრედიტო რისკის წინაშე კომპანია დგება კრედიტით რეალიზაციის შედეგად. საკრედიტო რისკი წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაგენტები დგებიან ფინანსური პრობლემების წინაშე და ვერ ასრულებენ თავის ვალდებულებებს კომპანიისთვის ვალდებულებების დაბრუნებასთან დაკავშირებით. კომპანიას შეიძლება შეექმნას სირთულეები დებიტორული დავალიანების შეგროვებისას, რის შედეგადაც თავისი საქმიანობის წარმართვისას აღმოჩნდება შეზღუდული რესურსების პრობლემის წინაშე. ფინანსური აქტივები, რომელიც შესაძლებელია განისაზღვროს კომპანიის საკრედიტო რისკად, ძირითადად მოიცავს მომსახურების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს საკრედიტო რისკის მაქსიმალურ ოდენობას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა კომპანიის საბრუნავი კაპიტალის მართვისას. ეს არის იმის რისკი, რომ კომპანია აღმოჩნდება საკუთარი ფინანსური ვალდებულებების შესრულების სირთულის წინაშე, რაც უარყოფითად იმოქმედებს კომპანიის მიმდინარე ოპერაციებსა და მის საქმიანობაზე. გონივრული ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების შენარჩუნებასა და საკმარისი საკრედიტო სახსრებით დაფინანსების შესაძლებლობას.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის მატარებელი აქტივი და ვალდებულება, თუმცა ამგვარის შემთხვევაში მიზმული იქნება ფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. კომპანიას არ გააჩნია მნიშვნელოვანი სავალუტო ან საპროცენტო განაკვეთის რისკები 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სასამართლო დავები

2023 წლის განმავლობაში კომპანიას სასამართლო დავები არ ჰქონია.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში N24 დაკავშირებული მხარეების წარდგენა და წარმოადგენენ:

- (ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ კომპანიას, კონტროლდებიან მის მიერ ან კომპანიასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);
 - (ბ)მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ კომპანიას;
 - (გ) ერთობლივი საწარმო, სადაც კომპანია არის დამფუძნებელი;
 - (დ) კომპანიის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;
 - (ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.
- ე.ი. ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

	2023	2022
უმაღლესი მენეჯმენტის შრომის ანაზღაურება	315153	203801

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

-უზრუნველყოს კომპანიის უნარიანობა გააგრძელოს თავის საქმიანობა ისე, რომ მფლობელები შემოსავლით უზრუნველყოს; და

-უზრუნველყოს ადეკვატური შემოსავალი მფლობელებისთვის მომსახურების შეფასებით რისკის დონის თანაზომიერად.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების ცვლილებების გათვალისწინებით.

აღნიშნულის განსახორციელებლად, შესაძლებელია კომპანიამ დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადასახდელი დივიდენდების თანხა, დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის დაფარვის მიზნით.

გაუთვალისწინებელი გარემოებები

დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების ფაზაშია. შესაბამისად, მსოფლიოში მიღებული სადაზღვევო დაცვის ბევრი ფორმა ჯერჯერობით საქართველოში სრულად ხელმისაწვდომი არ არის. კომპანიას გააჩნია სურვილი განახორციელოს სრული სადაზღვევო დაფარვა თავის უძრავ ქონებაზე, ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და თანამშრომლების ჯანმრთელობაზე.

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირად იცვლება მისი საკანონმდებლო და ოფიციალური დებულებები, სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანია, წინააღმდეგობრივია და მათი ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარად წარმოებს.

აღნიშნული გარემო საქართველოში ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც უფრო არსებითია ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ იგი ადექვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

ბალანსის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ არ მომხდარა ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენას.

**მმართველობითი აღრიცხვა,
საქმიანობის მიმოხილვა**

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

1. შპს “ოლდ ლამი” არის საავეჯე მასალების (ლამინირებული “დსპ” და “მდფ” ფილები, ავეჯის აქსესუარები და ა.შ.) ლიდერი კომპანია საქართველოში ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანით. კომპანიის მისიაა დავეხმაროთ ადამიანებს, შეიქმნან სასურველი საყოფაცხოვრებო გარემო ავეჯის განახლებით. ჩვენი მიზანია შევქმნათ საავეჯე მასალების ყველაზე ფართო არჩევანი საქართველოში, სადაც ნებისმიერი მომხმარებელი შეძლებს მისთვის სასურველი ავეჯისთვის, ნებისმიერი კატეგორიის მასალა შეარჩიოს, ჩვენ კი დავეხმარებით შერჩეული მასალით და რაც შეიძლება ნაკლები ძალისხმევით შექმნან მათთვის სასურველი ავეჯი.
2. კომპანიის საქმიანობის სახე არის ხე-ტყის მასალის, შპონის ფურცლების, ხის პანელების, მერქნის და სამშენებლო მასალებით ვაჭრობა საცალო და საბითუმო სახით.
3. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ასევე ვალუტის კურსის არასტაბილურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსებზე.
4. კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს როგორც იმპორტით ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეძენებით.
5. ბაზარზე პროდუქციის ღირებულება რეგულირდება საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად, რაც გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავლებზე.
6. როგორც გასულ წლებში, 2023 წელსაც კონკურენცია გაიზარდა და ამან მნიშვნელოვნად იმოქმედა კომპანიის დაგეგმილ შემოსავალზე.
7. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა, კომპანია გეგმავს მნიშვნელოვან ცვლილებებს გაფართოვების მიმართულებით.
8. წინა პერიოდთან შედარებით გაყიდვები კომპანიაში შემცირებულია, რაც განაპირობა კონკურენტი კომპანიების სიმრავლემ.
9. კომპანიაში დასაქმებულია კვალიფიციური კადრები, თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ასრულებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.
10. კომპანიაში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი კონტრაქტები კანონის სრული დაცვით. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით.
11. ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომა არის ძალიან მკაცრი, ჯერ-ჯერობით კომპანიაში არ გამოვლენილა მსგავსი ფაქტი, მაგრამ გამოვლენის შემთხვევაში კომპანია აუცილებლად განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ინფორმაცია პირითად რისკებზე და გაურკვევლობებზე:

1. კომპანიას რა თქმა უნდა ჰყავს კრედიტორებიც და დებიტორებიც. დებიტორები არიან ობიექტები – სადაც მოახდინა კომპანიამ პროდუქციის მიწოდება. აღნიშნული თანხების ამოღებას კომპანია ცდილობს კანონით გათვალისწინებული გზებით, მაგრამ არსებობს ობიექტები, საიდანაც რთულია თანხების ამოღება იმ მიზეზით, რომ მათი უმრავლესობა დაკეტილია ან ლიკვიდირებული.
2. მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახორციელებს კომპანიის მენეჯმენტი.
3. წინა პერიოდთან შედარებით რისკები არ გაზრდილა.

შპს „ოლდ ლამის“-ის
მენეჯმენტის სახელით:

ნათია გოგაძე

**ძმართველობითი აღრიცხვა,
საქმიანობის მიმოხილვა**

საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა:

1. შპს „ოლდ ლამი“ არის საავეჯე მასალების (ლამინირებული „დსპ“ და „მდფ“ ფილები, ავეჯის აქსესუარები და ა.შ.) ლიდერი კომპანია საქართველოში ყველაზე მრავალფეროვანი არჩევანით. კომპანიის მისიაა დავეხმაროთ ადამიანებს, შეიქმნან სასურველი საყოფაცხოვრებო გარემო ავეჯის განახლებით. ჩვენი მიზანია შევქმნათ საავეჯე მასალების ყველაზე ფართო არჩევანი საქართველოში, სადაც ნებისმიერი მომხმარებელი შეძლებს მისთვის სასურველი ავეჯისთვის, ნებისმიერი კატეგორიის მასალა შეარჩიოს, ჩვენ კი დავეხმარებით შერჩეული მასალით და რაც შეიძლება ნაკლები ძალისხმევით შექმნან მათთვის სასურველი ავეჯი.
2. კომპანიის საქმიანობის სახე არის ხე-ტყის მასალის, შპონის ფურცლების, ხის პანელების, მერქნის და სამშენებლო მასალებით ვაჭრობა საცალო და საბითუმო სახით.
3. ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ასევე ვალუტის კურსის არასტაბილურობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პროდუქციის რეალიზაციაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსებზე.
4. კომპანია საქონლის შეძენას ახორციელებს როგორც იმპორტით ასევე ადგილობრივ ბაზარზე შეძენებით.
5. ბაზარზე პროდუქციის ღირებულება რეგულირდება საბაზრო ეკონომიკის შესაბამისად, რაც გავლენას ახდენს კომპანიის შემოსავლებზე.
6. როგორც გასულ წლებში, 2023 წელსაც კონკურენცია გაიზარდა და ამან მნიშვნელოვნად იმოქმედა კომპანიის დაგეგმილ შემოსავალზე.
7. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობისა, კომპანია გეგმავს მნიშვნელოვან ცვლილებებს გაფართოვების მიმართულებით.
8. წინა პერიოდთან შედარებით გაყიდვები კომპანიაში შემცირებულია, რაც განაპირობა კონკურენტი კომპანიების სიმრავლემ.
9. კომპანიაში დასაქმებულია კვალიფიციური კადრები, თითოეულ თანამშრომელს აქვს საკუთარი ფუნქცია-მოვალეობები, რომელსაც ასრულებს კეთილსინდისიერად და ჯეროვნად.
10. კომპანიაში დასაქმებულია 66 თანამშრომელი, რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი კონტრაქტები კანონის სრული დაცვით. თითოეული თანამშრომელი სარგებლობს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ყველა უფლებით.
11. ანტიკორუფციულ საკითხებთან დაკავშირებით კომპანიის მიდგომა არის ძალიან მკაცრი, ჯერ-ჯერობით კომპანიაში არ გამოვლენილა მსგავსი ფაქტი, მაგრამ გამოვლენის შემთხვევაში კომპანია აუცილებლად განახორციელებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

ინფორმაცია ძირითად რისკებზე და გაურკვევლობებზე:

1. კომპანიას რა თქმა უნდა ჰყავს კრედიტორებიც და დებიტორებიც. დებიტორები არიან ობიექტები – სადაც მოახდინა კომპანიამ პროდუქციის მიწოდება. აღნიშნული თანხების ამოღებას კომპანია ცდილობს კანონით გათვალისწინებული გზებით, მაგრამ არსებობს ობიექტები, საიდანაც რთულია თანხების ამოღება იმ მიზეზით, რომ მათი უმრავლესობა დაკეტილია ან ლიკვიდირებული.
2. მონიტორინგს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ახორციელებს კომპანიის მენეჯმენტი.
3. წინა პერიოდთან შედარებით რისკები არ გაზარდილა.

შპს „ოლდ ლამის“-ის
მენეჯმენტის სახელით:



05 აგვისტო 2024 წ